საქმიანობის ბიულეტენი

ივნისი
2024



საქმიანობის ბიულეტენი

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

შინაარსი:

NO.4

გვერდი 3

პლენარული სხდომები

გვერდი 8

ბიუროს სხდომები

გვერდი 13

კომიტეტის სხდომები

გვერდი 23

სხვა აქტივობები

გვერდი 35

საერთაშორისო ურთიერთობები

პლენარული სხდომა

ივნისი,2024

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

უმაღლეს საბჭოში, „მინისტრის საათის“ ფორმატში ნინო ნიჟარაძეს მოუსმინეს

13 ივნისი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, „მინისტრის საათის“ ფორმატში, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს მოუსმინეს - ნინო ნიჟარაძე სამინისტროს საქმიანობის შესახებ ვრცელი მოხსენებით წარსდგა.

მისი განცხადებით, 2023 წელს, სამინისტროს ბიუჯეტი, რომელიც 48 249 500 ლარს შეადგენდა, 99,3 % -ით შესრულდა. რაც შეეხება 2024 წლის ბიუჯეტს, ის წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით, 18 020 000 ლარით გაიზარდა და 51 255 000 ლარია. სამინისტრო, საქვეუწყებო დაწესებულებებთან ერთად, ახორციელებს 36 პროგრამას. საანგარიშო წლებში, აჭარის მოსახლეობამ, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დასაქმების მიმართულებით არსებული სხვადასხვა სერვისით (103 432 ბენეფიციარი) ისარგებლა.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა მნიშვნელოვან პროგრამულ სიახლეებსა და იმ სამუშაოებზე, რომლებიც მიმართულია არსებული გამოწვევების დასაძლევად.

კანონმდებლებმა დადებითად შეაფასეს სამინისტროს საქმიანობა და გამოსვლების დასრულების შემდეგ, წარმოდგენილი ანგარიში ცნობად მიიღეს.

სხდომაზე, ასევე განიხილეს და ერთხმად მიიღეს დადგენილების პროექტი - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

უმაღლეს საბჭოში აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს მოუსმინეს

14 ივნისი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს მოუსმინეს - თორნიკე რიჟვაძემ 2023-2024 წლების ანგარიში წარმოადგინა და სოციალური, ეკონომიკური უზრუნველყოფის, ტურიზმის, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის მიმართულებით მიღწეული შედეგები შეაჯამა.

მომხსენებელმა თავისი გამოსვლა რეგიონის მიღწევებზე საუბრით დაიწყო. აღნიშნა, რომ მაქსიმალური კეთდება, რათა ღირსებით, სუვერენიტეტის დაცვით დავუახლოვდეთ ევროპულ ოჯახს და პარალელურად, ქვეყანაში შევინარჩუნოთ მშვიდობა და სტაბილურობა:

,,სულ ახლახან ბათუმი დასახელდა ევროპის წამყვან საინვესტიციო ქალაქად. ეს ნიშნავს, რომ კიდევ უფრო მეტი ინვესტიცია, პროექტი განხორციელდება, მეტი სამუშო ადგილი შეიქმნება და რაც ყველაზე მთავარია, კიდევ უფრო მეტი კეთილდღეობა შეიქმნება ჩვენი მაცხოვრებლებისთვის. დარწმუნებული ვარ, ეს არ არის ბოლო და ერთადერთი აღიარება“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

მისი განცხადებით, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, აჭარის მთავრობამ, ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინაციით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. ამასთან, ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე.

საგრძნობლად გაზრდილი ბიუჯეტით განხორციელებული პროგრამების, პროექტების წარდგენისას, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მზარდი ეკონომიკის პირობებში, აჭარის მომავალი წლის ბიუჯეტი მილიარდ ლარს მიაღწევს, რაც რეგიონისა და ქვეყნისათვის კიდევ მეტი სასიკეთო საქმის გაკეთების შესაძლებლობა იქნება.

მთავრობის თავმჯდომარემ თითოეულ ქართველს იოანე ზოსიმეს ხელნაწერის დაბრუნება მიულოცა და აქვე, ქართველ ფეხბურთელებს წარმატებები უსურვა ევროპის ჩემპიონატზე.

ვრცელი და დეტალური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მთავრობის თავმჯდომარემ უპასუხა კანონმდებელთა კითხვებს და მოისმინა მათი შეფასებები.

„ანგარიში მოიცავდა ყველა გაკეთებულ საქმეს, გამოწვევებს, რომლებიც გვაქვს, თუმცა არ არსებობს საქმე გამოწვევისა და კრიტიკის გარეშე, თუმცა კრიტიკასაც უნდა შევხედოთ ჯანსაღი თვალით. ყველა აქცენტი, რომელიც გაკეთდა ამ დარბაზში, ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენი პარტნიორული თანამშრომლობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, მეტი წარმატების მომტანია“, - განაცხადა დავით გაბაიძემ სხდომის დასასრულს.

რიგგარეშე პლენარული სხდომა

17 ივნისი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭო საქართველოს პარლამენტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის - მეურვეობის კანდიდატად სოსო სტურუას წარუდგენს. გადაწყვეტილება კანონმდებლებმა რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, აჭარის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრად - მეურვედ, სამი კანდიდატი წარუდგინოს. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოში უმაღლესი საბჭოს კვოტით უკვე არჩეულია ორი მეურვე.

დავით გაბაიძის განცხადებით, საქართველოს პარლამენტის საკონკურსი კომისიამ აჭარის უმაღლეს საბჭოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის - მეურვეობის კანდიდატურის შესარჩევად 11 კონკურსანტი წარმოუდგინა: ემზარ დიასამიძე, მარინე გიორგაძე, ფირუზ ბოლქვაძე, გიორგი იაკობაშვილი, გიორგი ლაზიშვილი, იზაბელა ოსიპოვა, სოსო სტურუა, პაატა სურგულაძე, დონარა შონავა, მიხეილ ჩიკვილაძე და თამარ წილოსანი. მათგან, ღია კენჭისრით, 11 ხმით (არცერთი წინააღმდეგი), უმაღლესი საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს სოსო სტურუას კანდიდატურას.

საგაზაფხულო სესია პლენარული სხდომით დაიხურა

20 ივნისი, 2024 წელი

აჭარის უმაღლეს საბჭოში საგაზაფხულო სესია პლენარული სხდომით დაიხურა. სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი, ჯაბა ფუტკარაძე 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშით წარსდგა.

მინისტრის განცხადებით, საანგარიშო პერიოდში, 2023 წლის შემოსულობების გეგმა - 100,1 %-ით, შემოსავლების გეგმა - 100,8 %-ით შესრულდა, ხოლო საშემოსავლო გადასახადის გეგმის მაჩვენებელმა - 100,6 % შეადგინა. გადაჭარბებით - 104,5 %-ით შესრულდა სხვა შემოსავლების გეგმა, არაფინანსური აქტივების კლების გეგმის მაჩვენებელმა კი - 92,0 % შეადგინა. ბიუჯეტი 81 %-ით შეასრულა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, 94 %-იანი შესრულება აქვს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, 99 %-ია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მაჩვენებელი, ხოლო 98 %-ით შესრულდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი.

სხდომაზე, 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით თანამოხსენებებით წარსდგნენ - აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კახაბერ კირტავა და უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, მარინე გვიანიძე.

კითხვა-პასუხისა და გამოსვლების დასრულების შემდეგ, წარმოდგენილი ანგარიში კანონმდებლებმა ერთხმად დაამტკიცეს.

სხდომაზე, გამარტივებული წესით განიხილეს აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრების - დავით გაბაიძისა და ლადო მგალობლიშვილის მიერ ინიცირებული რეგლამენტის პროექტი. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ცვლილების მიზანია რეგლამენტის ცალკეული ნორმების დახვეწა, საქართველოს შესაბამის კანონმდებლობასთან და პარლამენტის რეგლამენტთან ჰარმონიზაცია. ამავე პროექტის თანახმად, წესდება ახალი ჯილდოები, რომლებიც უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციურ განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის გადაეცემათ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ასევე საკანონმდებლო ორგანოს აპარატის თანამშრომლებს მათი ნამსახურობის, პროფესიონალიზმისა და გამოცდილების პატივისცემის აღსანიშნავად. რეგლამენტის პროექტი კანონმდებლებმა ერთხმად მიიღეს.

სხდომაზე, ასევე გამარტივებული წესით განიხილეს და მიიღეს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი. საკითხი კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა - ცვლილების თანახმად, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტს აღარ ექნება ვალდებულება, კანონპროექტს დაურთოს იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) ცვლილება შედის.

ბიუროს სხდომა

ივნისი,2024

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ბიუროს სხდომა

12 ივნისი, 2024 წელი

ხვალ, 13 ივნისს, აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარული სხდომა გაიმართება - „მინისტრის საათის“ ფორმატში მოხსენებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ნინო ნიჟარაძე წარმოადგენს. 14 ივნისის რიგგარეშე სხდომაზე კი, ყოველწლიური ანგარიშით აჭარის მთავრობის თავმჯდომარე - თორნიკე რიჟვაძე წარსდგება. გადაწყვეტილება კანონმდებლებმა ბიუროს მორიგ სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა. აღნიშნული საკითხი და „მინისტრის საათის“ განრიგში შესატანი ცვლილება ბიუროს წევრებს დავით გაბაიძემ გააცნო.

სხდომაზე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის - მარინე გვიანიძის მიერ წარდგენილი დადგენილების პროექტი - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“ და 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, ბიუროს გადაწყვეტილებით, უახლოეს პლენარულ სხდომაზე განიხილება. რაც შეეხება 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშს, ბიუროს წევრებმა, ის ცნობად მიიღეს.

კანონმდებლებმა მხარი დაუჭირეს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის შუამდგომლობას - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტისთვის განხილვის ვადის გაგრძელების თაობაზე. საკითხი კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომიტეტები იწყებენ ერთობლივ თემატურ მოკვლევას - ,,ადრეული ქორწინება და მისი უკუშედეგები“. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის - ილია ვერძაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს.

კანონმდებლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი უმაღლესი საბჭოს 2024 წლის ბიუჯეტის დეტალურ განწერაში შესატანი ცვლილების პროექტს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს აპარატის უფროსმა - ზურაბ ჭურკვეიძემ წარმოადგინა.

ბიუროს სხდომა

12 ივნისი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი განიხილეს:

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის - მეურვეობის კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისათვის ასარჩევად წარდგენის შესახებ საკითხი, ბიუროს გადაწყვეტილებით, უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე განიხილება.

განხილვის პროცედურები იწყება საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ინიციატივაზე - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი, ბიუროს წევრებს, კომიტეტის თავმჯდომარემ, ლადო მგალობლიშვილმა წარუდგინა.

ბიუროს სხდომა

17 ივნისი, 2024 წელი

ხვალ, 13 ივნისს, აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარული სხდომა გაიმართება - „მინისტრის საათის“ ფორმატში მოხსენებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ნინო ნიჟარაძე წარმოადგენს. 14 ივნისის რიგგარეშე სხდომაზე კი, ყოველწლიური ანგარიშით აჭარის მთავრობის თავმჯდომარე - თორნიკე რიჟვაძე წარსდგება. გადაწყვეტილება კანონმდებლებმა ბიუროს მორიგ სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა. აღნიშნული საკითხი და „მინისტრის საათის“ განრიგში შესატანი ცვლილება ბიუროს წევრებს დავით გაბაიძემ გააცნო.

სხდომაზე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის - მარინე გვიანიძის მიერ წარდგენილი დადგენილების პროექტი - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“ და 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, ბიუროს გადაწყვეტილებით, უახლოეს პლენარულ სხდომაზე განიხილება. რაც შეეხება 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშს, ბიუროს წევრებმა, ის ცნობად მიიღეს.

კანონმდებლებმა მხარი დაუჭირეს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის შუამდგომლობას - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტისთვის განხილვის ვადის გაგრძელების თაობაზე. საკითხი კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომიტეტები იწყებენ ერთობლივ თემატურ მოკვლევას - ,,ადრეული ქორწინება და მისი უკუშედეგები“. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის - ილია ვერძაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს.

კანონმდებლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი უმაღლესი საბჭოს 2024 წლის ბიუჯეტის დეტალურ განწერაში შესატანი ცვლილების პროექტს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს აპარატის უფროსმა - ზურაბ ჭურკვეიძემ წარმოადგინა.

ბიუროს სხდომა

20 ივნისი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული ოთხი საკითხი განიხილეს.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი, სხდომაზე, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა. მისი განცხადებით, დასრულდა განხილვის პროცედურები და კანონის პროექტი მომზადებულია პლენარული სხდომისთვის.

ბიუროს გადაწყვეტილებით, „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ კანონის პროექტის (II მოსმენა) განხილვისთვის ახალი ვადა განისაზღვრა. შესაბამისი წინადადებით, ბიუროს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა მიმართა.

ბიურომ, წამყვან კომიტეტში განხილვის ახალი ვადა განსაზღვრა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებითაც. აღნიშნული წინადადებით, ბიუროს წევრებს, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ მიმართა.

სხდომაზე განისაზღვრა უმაღლესი საბჭოს 20 ივნისის მორიგი პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტი.



კომიტეტის სხდომა

ივნისი, 2024

აჭარის სუპრემული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტში „ბათუმის ბულვარის“ დირექტორის ანგარიში მოისმინეს

6 ივნისი, 2024 წელი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე უძღვებოდა, სსიპ ,,ბათუმის ბულვარის" 2023 წლის საქმიანობის ანგარიში და მიმდინარე წელს, ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით, გაწეული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. სხდომაზე, შესაბამისი მოხსენებით, ,,ბათუმის ბულვარის" დირექტორი - ლაშა მიქელაძე წარსდგა.

მომხსენებლის განცხადებით, ბათუმის ბულვარი რეგიონის ყველაზე დიდი ტურისტული ლოკაციაა, რომელიც ვიზიტორთა მზარდი რაოდენობით გამოირჩევა. 2023 წელს, უწყების ბიუჯეტი 12 მილიონ 800 ათას ლარს აჭარბებდა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო, გამწვანების სამუშაოები, განახლდა ცალკეული ლოკაციები, სპორტული, საპლაჟო ინფრასტრუქტურა და ა.შ.

ლაშა მიქელაძის განცხადებით, მნიშვნელოვანი იყო ბათუმის ბულვარის მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებსა და კონფერენციებში, ასევე მოპოვებული საერთაშორისო ჯილდოები. მომხსენებელმა აქვე ისაუბრა 2024 წლის ტურისტული სეზონისთვის მიმდინარე ღონისძიებებზე და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს სიახლედ სკეიტპარკი დაასახელა, რომლის ლიცენზირებაზე მუშაობა დაწყებულია და 2025 წლისთვის აქ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება იგეგმება.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, კანონმდებლებმა წარმოდგენილი ანგარიში ცნობად მიიღეს.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

7 ივნისი, 2024 წელი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტში აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარეს მოუსმინეს. სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე უძღვებოდა, თინათინ ზოიძემ დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში და მიმდინარე წლის ტურისტული სეზონის მზადებასთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოადგინა.

მომხსენებლის განცხადებით, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობს. 2023 წელი გამორჩეული იყო მზარდი დინამიკით და რეგიონში 4,6 მილიონი ვიზიტი განხორციელდა, რაც, წინა წელთან შედარებით, ზრდის 11%-იანი მაჩვენებელია. საგრძნობლადაა გაზრდილი უწყების 2024 წლის ბიუჯეტი, რომელიც თითქმის 20 მილიონი ლარია. ამასთან, პირველ კვარტალში შიდა და გარე ვიზიტების რაოდენობა უკვე აჭარბებს 900 ათასს.

რეგიონში მიმდინარე პროექტებზე, ტურისტულ პროდუქციასა და სეზონის მოლოდინებზე საუბრის შემდეგ, მომხსენებელმა უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს.
წარმოდგენილი ანგარიში და ინფორმაცია კომიტეტის წევრებმა ცნობად მიიღეს.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

13 ივნისი, 2024 წელი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - ლადო მგალობლიშვილი უძღვებოდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წესით ინიცირების საკითხი განიხილეს.

როგორც ლადო მგალობლიშვილმა აღნიშნა, კანონპროექტით, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტს აღარ ექნება ვალდებულება, კანონპროექტს დაურთოს იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) შედის ცვლილება.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ინიციატივის დაწყებას.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა

15 ივნისი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა გასვლითი სხდომა გამართა შუახევის მუნიციპალიტეტში. სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე, ილია ვერძაძე უძღვებოდა, სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის -რუსუდან შავიშვილის ინფორმაცია მოისმინეს 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

როგორც აღინიშნა, ცენტრმა, საანგარიშო პერიოდში, რეგიონში ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფის, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნისა და დროული რეაგირების, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების, ჩართულობის, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკის მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა განახორციელა.

გაწეულ საქმიანობასა და ჯერ კიდევ არსებულ გამოწვევებზე საუბრის შემდეგ, რუსუდან შავიშვილმა 2024 წლის პირველი კვარტლის ანგარიში წარმოადგინა, უპასუხა კომიტეტის წევრების შეკითხვებს და მოისმინა სხდომის მონაწილეთა მოსაზრებები.

კომიტეტმა წარმოდგენილი ანგარიშები ცნობად მიიღო.

კომიტეტის წევრებმა ცნობად მიიღეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება - 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

დღის წესრიგის ბოლო საკითხი - დადგენილების პროექტი - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“, კანონმდებლებს მარინე გვიანიძემ გააცნო. კომიტეტმა მხარი დაუჭირა საკითხზე შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.

სხდომას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ.

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომა

18 ივნისი, 2024 წელი

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - ფრიდონ ფუტკარაძე უძღვებოდა, სამი უწყების - აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრისა“ და სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობისა და მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს.

ანგარიშებით, კანონმდებლების წინაშე, აღნიშნულ უწყებათა ხელმძღვანელები - ჯემალ ნაკაშიძე, რაულ თავართქილაძე და ლევან გორგილაძე წარსდგნენ.

სამოქმედო გეგმებით გაწერილი პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებზე, ჯერ კიდევ არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე საუბრის გარდა, მომხსენებლებმა კანონმდებლებს სიახლეებსა და სამომავლო საჭიროებებზე მიაწოდეს ინფორმაცია, უპასუხეს სხდომაზე დასმულ კითხვებს.

წარმოდგენილი ანგარიშები კანონმდებლებმა ცნობად მიიღეს.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

20 ივნისი, 2024 წელი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი განიხილეს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე.

კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონის პროექტი, სხდომაზე, ამავე კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა. მისი განცხადებით, კანონპროექტი მზადაა პლენარულ სხდომაზე გამარტივებული წესით განხილვისთვის.

კანონმდებლების გადაწყვეტილებით საკითხი უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაეცა.

სამოქმედო გეგმებით გაწერილი პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებზე, ჯერ კიდევ არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე საუბრის გარდა, მომხსენებლებმა კანონმდებლებს სიახლეებსა და სამომავლო საჭიროებებზე მიაწოდეს ინფორმაცია, უპასუხეს სხდომაზე დასმულ კითხვებს.

წარმოდგენილი ანგარიშები კანონმდებლებმა ცნობად მიიღეს.



კანონმდებლებმა მინისტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად მიიღეს

24 ივნისი, 2024 წელი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, აჭარის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. კანონმდებლების წინაშე, მოხსენებით, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი - ჯაბა ფუტკარაძე წარსდგა.

მისი განცხადებით, მომავალი წლის პრიორიტეტები მოსახლეობის მოთხოვნილებებზე, კეთილდღეობაზე, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, დასაქმების, შემოსავლების ზრდაზეა ორიენტირებული და ამის შესაძლებლობას მნიშვნლოვნად გაზრდილი ბიუჯეტი იძლევა. მინისტრის თქმით, მომავალი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი - 800 მილიონ ლარს აჭარბებს და სამომავლო პროგნოზით, მილიარდ ლარს მიუახლოვდება.

წარმოდგენილი ინფორმაციით, 10,1 %-ით იზრდება ბიუჯეტის შემოსულობები, შემოსავლების ნაწილში ზრდის მაჩვენებლები - 18,3 %-ია, 18, 7 %-იანი ზრდა მოდის საშემოსავლო გადასახადებზე.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, ჯაბა ფუტკარაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ორივე კომიტეტმა ცნობად მიიღო.

მინისტრის მოხსენების შემდეგ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრებმა, სალიბაურის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ მომზადებულ პეტიციაზე - „უსინათლო ან/და მცირედ მხედველი ადამიანების უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნა“ იმსჯელეს. კომიტეტის თავმჯდომარის - ილია ვერძაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია კომიტეტმა ცნობად მიიღო.

კომიტეტებმა სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს

24 ივნისი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთი საკითხი განიხილეს:

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა, ჯაბა ფუტკარაძემ ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, გაზრდილი ბიუჯეტი, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, ეკონომიკური აღმავლობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის გარანტიას იძლევა. წარმოდგენილი ინფორმაციით, 11%-ით იზრდება და დაახლოებით 155 მილიონი ლარი იქნება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტი.

დაახლოებით 146 მილიონი (4 %-იანი ზრდა) იქნება განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი, 35 მილიონ ლარს (11 %-იანი ზრდა) გადააჭარბებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი საფინანსო დოკუმენტი. ყველაზე მეტი, 30%-იანი ზრდა ექნება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - 66 მილიონიანი ბიუჯეტი გაზრდილ და ახალ პროგრამებზე გაიხარჯება.

მინისტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ორივე კომიტეტმა ცნობად მიიღო.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

27 ივნისი, 2024 წელი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომის დაწყებისას, კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს, სრულიად საქართველოს, ისტორიული გამარჯვება - ევროპის ჩემპიონატის მერვედფინალში გადასვლა მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

კანონმდებლებმა, სხდომაზე, მხარი დაუჭირეს აჭარის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ (2025 -2028 წლების) ინფორმაციის თაობაზე პროცედურების გაგრძელებას. საკითხი, კომიტეტის წევრებს, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოუდგინა.

ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, პოზიტიური, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. მინიმუმ 10 %-ით გაზრდილი ბიუჯეტის, დაახლოებით 65-70 %, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაიხარჯება. მნიშვნელოვნად იზრდება ყველა სამინისტროსა და უწყების ბიუჯეტი.

ძირითადი პარამეტრებისა და მნიშვნელოვანი პროექტების წარდგენის შემდეგ, მინისტრმა უპასუხა კომიტეტის წევრების შეკითხვებს.

სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

ივნისი, 2024

აჭარის სუპერნომიერი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

მაღალმთიან აჭარაში „სელიმობა“ ტრადიციული სახალხო ზეიმით აღინიშნა

4 ივნისი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე და მაღალმთიანი აჭარის მაჟორიტარი დეპუტატი - ფრიდონ ფუტკარაძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში „სელიმობის“ ტრადიციულ დღესასწაულს დაესწრნენ.

სელიმ ხიმშიაშვილის უკვდავსაყოფად დამკვიდრებული სახალხო ზეიმი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგაზეულიდან დაიწყო. რეგიონის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ხულოს თვითმმართველობის, სამეცნიერო წრეების, საზოგადოების წარმომადგენლებმა, სასულიერო პირებმა ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს გმირი მამულიშვილის საფლავი და შემდეგ სხალთაში გადაინაცვლეს, სადაც ხიმშიაშვილთა საგვარეულოს კიდევ ერთი სახელოვანი წარმომადგენლის - შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ. სამშობლოსათვის გმირულად დაღუპულთა პატივსაცემად სანთლები აინთო სხალთის ტაძარში.

ტრადიციული დღესასწაული სერიყანაში გაგრძელდა. ღონისძიების მონაწილეებმა ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს ის ადგილი, სადაც 1815 წლის 3 ივნისს სელიმ ხიმშიაშვილს თავი მოკვეთეს. ამის შემდეგ ღონისძიება ბაკოს საჯარო სკოლის ეზოში საზეიმო ღონისძიებითა და კონცერტით გაგრძელდა.

სელიმ ხიმშიაშვილის ღვაწლზე ისაუბრეს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ, მაღალმთიანი აჭარის მაჟორიტარმა დეპუტატმა - ფრიდონ ფუტკარაძემ, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა. სახალხო ზეიმი „სელიმობა“ აჭარაში 2005 წლიდან აღინიშნება.

„ოცნების ქალაქში“ მცხოვრებლებს ახალი ბინები გადაეცათ

5 ივნისი, 2024 წელი

„582 ოჯახი, რომელსაც რთულ პირობებში უწევდა ცხოვრება, დღეს მიიღებს 582 ახალ ბინას, მათ შორის 800 ბავშვია. მოქალაქეებზე ზრუნვა ჩვენი მთავარი პასუხისმგებლობაა და დღევანდელი დღე ამის გამოხატულებაა,“ - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ, ბათუმში, ე.წ. „ოცნების ქალაქში“ მცხოვრებლებისთვის ბინების გადაცემისას.

ღონისძიებაზე, რომელსაც აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეები - დავით გაბაიძე, თორნიკე რიჟვაძე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ირაკლი კობახიძემ ახალი საცხოვრებელი ბინის გასაღები ქოქოლაძეების მრავალშვილიან ოჯახს გადასცა და ყველას მიულოცა ახალმოსახლეობა.

ღონისძიების ფარგლებში, ლურჯი (საზღვაო) ეკონომიკით დაინტერესებულ მხარეები (სტეიქჰოლდერებს) გაეცნენ პროექტის მიზნებს, პარტნიორ ქვეყნებში განხორციელებულ აქტივობებს, შედეგებს, საზღვაო ინდუსტრიაში დიჯიტალიზაციის მიმართულებით არსებულ ვითარებას, გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებს. ყურადღება გამახვილდა ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობის, საზოგადოების ცნობიერების საკითხებსა და რეკომენდაციებზე.

კონფერენცია, რომელიც საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკური განვითარების ცენტრის მხარდაჭერით იმართება ორდღიანია და ხვალ, 17 მაისს, ბათუმის საზღვაო აკადემიაში გადაინაცვლებს.

ბათუმს ახალი, საერთაშორისო სტანდარტების ყინულის სასახლე და საცურაო აუზი ექნება

5 ივნისი, 2024 წელი

„ოცნების ქალაქის“ შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა - ირაკლი კობახიძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეებმა - დავით გაბაიძემ და თორნიკე რიჟვაძემ, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მშენებარე ობიექტები დაათვალიერეს - გაეცნენ ყინულის სასახლისა და საცურაო აუზის პროექტის დეტალებს.

დახურული სპორტული კომპლექსის პროექტი, რომლის განხორციელება უახლოეს მომავალში დაიწყება - ყინულის არენისა და საცურაო აუზის მშენებლობას ითვალისწინებს. გამოცხადებულია ტენდერი და მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები. ყინულის არენა და ორი აუზი საერთაშორისო ოლიმპიური სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა. ამასთან, ყინულის მოედანი 2025 წელს ახალგაზრდულ ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლებს.

ყინულის სასახლეს დაემატა მხატვრული ტანვარჯიშის დარბაზი. გარდა ამისა, მთავარი აუზის ზომა 33-ის ნაცვლად, 50 მეტრამდე გაიზრდება.

მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ, ბათუმს ახალი, თანამედროვე სტანდარტების, 1500 მაყურებელზე გათვლილი ყინულის სასახლე და 800 მაყურებელზე გათვლილი საცურაო აუზი ექნება.

ირაკლი კობახიძე ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო

5 ივნისი, 2024 წელი

დღესვე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი - ირაკლი კობახიძე ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო.

თანამედროვე სტანდარტების სამსართულიან შენობაში 40 საკლასო ოთახია და ორ ცვლაში, 2 000 მოსწავლეზეა გათვლილი.

პროექტი ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ოთახის, 300 მაყურებელზე გათვლილ სააქტო დარბაზის, ღია და დახურული სპორტული მოედნების მშნებლობას ითვალისწინებს. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

პროექტს, რომლის ბიუჯეტი 17 388 170 ლარია, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჩაქვში ძალოსნობის ახალი ბაზა გახსნა

5 ივნისი, 2024 წელი

დღესვე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ჩაქვის ძალოსნობის ბაზა გახსნა.

ბაზისთვის აშენდა ახალი სამსართულიანი შენობა, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და ადაპტირებულია შეზღუდული შესძლებლობების მქონე პირებისთვის.

პირველი სართულის ძირითადი ნაწილში 180 მაყურებელზე გათვლილი სავარჯიშო და შეჯიბრებებისთვის განკუთვნილი დარბაზებია. მეორე და მესამე სართულებზე კი საოფისე, მოსასვენებელი სივრცეები, ასევე საკონფერენციო დარბაზი და სასტუმრო ნომრებია განთავსებული ჩამოსული სპორტსმენებისთვის.

პროექტის ბიუჯეტი 4 794 361 ლარია.

კომიტეტის ინიციატივით შუახევის მოსახლეობას უფასო გამოკვლევები ჩაუტარდა

15 ივნისი, 2024 წელი

„დაავადების დროული გამოვლენა, დიაგნოსტირება და მკურნალობა უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისთვის. ყოველი დროული დიაგნოზი, უკვე ნიშნავს დროულ მკურნალობას და ადამიანის გადარჩენას. სწორედ ამ მიზნით, ჩვენი კომიტეტი, აგრძელებს ტრადიციას და საქართველოს წამყვან სამედიცინო დაწესებულებებთან აქტიური თანამშრომლობით, პერიოდულად სტუმრობს სხვადასხვა მუნიციპალიტეტს“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ილია ვერძაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უფასო სამედიცინო კვლევის მორიგი აქციის ჩატარებისას.

სამიტს, რომელიც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ - თორნიკე რიჟვაძემ, ევროპის რეგიონთა ასამბლეის პრეზიდენტმა - ალბერტ კასტელანოს მადუელემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა გახსნეს, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წევრები, ასამბლეის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კომიტეტის ინიციატივით, მაღალმთიან აჭარას, ამჯერად საქართველოს ქირურგიის ეროვნული ცენტრის სხვადასხვა პროფილის ექიმები ეწვივნენ და შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ათეულობით ადამიანს უფასო გამოკვლევა ჩაუტარეს.

აქციის ფარგლებში, ჯანმრთელობის კვლევის პარალეურად, მსურველებს, ექიმებმა შესაბამისი სამედიცინო კონსულტაციებიც გაუწიეს.

აქციის მსვლელობისას, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები, მაჟორიტარ დეპუტატებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან ერთად, მოსახლეობის საჭიროებების შესწავლის მიზნით, გაესაუბრნენ მედიკოსებს.

დავით გაბაიძემ მუსლიმ მრევლს უდიდესი საღვთო დღესასწაული - ყურბან-ბაირამი მიულოცა

16 ივნისი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დავით გაბაიძემ მუსლიმ მრევლს უდიდესი საღვთო დღესასწაული - ყურბან-ბაირამი მიულოცა.

საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე, ბათუმის ორთა ჯამეში, ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მივიდა და სადღესასწაულო ლოცვას დაესწრო.

ყურბან-ბაირამი მუსლიმანური სამყაროს უდიდესი დღესასწაულია. იგი მოძრავია და მარხვის დასრულებიდან 70-ე დღეს აღინიშნება. ამ დღეს მორწმუნეები ღმერთს პირუტყვს სწირავენ და ხორცს ქველმოქმედების მიზნით არიგებენ.

დასაქმების ფორუმი - 2024

20 ივნისი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ილია ვერძაძე, ბათუმში გამართულ დასაქმების ფორუმს დაესწრო.

„დასაქმების ფორუმი, კარგი შესაძლებლობაა ახალგაზრდებისთვის, დაინტერესებული მოქალაქეებისთვის შეარჩიონ სასურველი ვაკანსია არსებული კვალიფიკაციის შესაბამისად, უშუალოდ გაესაუბრონ პოტენციურ დამსაქმებლებს, მიიღონ რჩევები პროფესიული უნარების განვითარებისა და რეალიზებისთვის“, - განაცხადა ილია ვერძაძემ.

წელს, ფორუმზე, აჭარაში ოპერირებადი 75 კომპანია 2000-მდე ვაკანსიით იყო წარმოდგენილი. ბიზნესკომპანიებმა ვაკანსიები - ადმინისტრაციული, მომსახურების, სავაჭრო, დისტრიბუციის, სასტუმრო და სარესტორნო, სამრეწველო, სატრანსპორტო, ლოჯისტიკური, სამშენებლო, საფინანსო, სადაზღვევო, ჯანდაცვის და განათლების სფეროებიდან წარმოადგინეს.

კომპანიებთან პარტნიორული თანამშრომლობის განვითარების მიზნით, ფორუმში მონაწილეობდნენ პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებიც, რომლებმაც სამუშაოს მაძიებლებს გააცნეს პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობები.

ფორუმის პირველ ნაწილში ჩატარდა საჯარო ლექცია- მასტერკლასი თემაზე - “თვითმოტივაციის როლი კარიერულ განვითარებაში“.

ღონისძიება, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, აჭარის დასაქმების სააგენტოსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი თანამშრომლობით გაიმართა.



სამუშაო შეხვედრა კვლევითი საქმიანობის გაძლიერების თაობაზე

26 ივნისი, 2024 წელი

აჭარის უმაღლეს საბჭოში კვლევითი საქმიანობის გაძლიერების თაობაზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებს შორის.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს არსებული გამოცდილების გაზიარებისა და საუკეთესო მოდელების დამკვიდრების მნიშვნელობის საკითხები. ისაუბრეს საპარლამენტო, საზედამხედველო და კანონშემოქმედებით საქმიანობაში კვლევის პროდუქტების მნიშვნელობის, GPRC საქმიანობის სპეციფიკის, კვლევითი მეთოდოლოგიისა და მასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ.

უმაღლესი საბჭოს კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მხარდამჭერია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტი, "ძლიერი საპარლამენტო ინსტიტუტები საქართველოში".

დავით გაბაიძე, პარლამენტში, პრემიერ-მინისტრის გამოსვლას დაესწრო

28 ივნისი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, საქართველოს პარლამენტში, პრემიერ-მინისტრის გამოსვლას დაესწრო - ირაკლი კობახიძემ პლენარულ სხდომაზე სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში წარადგინა.

მთავრობის საქმიანობის წლიური ანგარიში 2023 წლის ივნისიდან - 2024 წლის მაისამდე პერიოდს მოიცავდა.

იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი დასავლეთ საქართველოში საერთაშორისოდ აკრედიტებული პირველი პედიატრიული სამედიცინო ცენტრია

29 ივნისი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ილია ვერძაძე, კომიტეტის აპარატის უფროსი - ლეილა ღოღობერიძე, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან - ნინო ნიჟარაძესთან, სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან, ოფიციალურ სტუმრებთან ერთად, იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალურ ჰოსპიტალს ეწვივნენ, რომელიც დასავლეთ საქართველოში, საერთაშორისოდ აკრედიტებული პირველი პედიატრიული სამედიცინო ცენტრი გახდა.

ჰოსპიტალის წარმომადგენლები, ამერიკის საერთაშორისო აკრედიტაციის (AACI) სერტიფიკატის მისაღებად, შესაბამის კომისიასთან რამდენიმე თვე ინტენსიურად მუშაობდნენ, გაიარეს ყველა აუცილებელი პროცედურა და დააკმაყოფილეს აკრედიტაციის მისაღებად დაწესებული უმაღლესი სტანდარტები.

AACI არის „ჯანმრთელობის დაცვის, ხარისხისა და შეფასების საერთაშორისო ასოციაციის“ (ISQua/IEEA) აკრედიტებული წევრი, რომელიც ჯანდაცვის სერვისების განვითარების მიზნით, მსოფლიოს მასშტაბით, საერთაშორისო სტანდარტებს შეიმუშავებს. კომისიის მიერ აკრედიტებულია ამერიკის, ევროპისა და აზიის წამყვანი სამედიცინო ცენტრები.

ბათუმის იაშვილის ჰოსპიტალი აჭარის რეგიონში არსებული მულტიპროფილური ცენტრია. აქ შესაძლებელია დედათა და ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიღება. ჰოსპიტალში ფუნქციონირებს მეორე-მესამე დონის პერინატალური ცენტრი, რომელიც მოიცავს სამეანო-გინეკოლოგიურ სერვისს და უზრუნველყოფს ახალშობილების ინტენსიური თერაპიის სრულფასოვან სპექტრს. ამასთან, ჰოსპიტალი რეგიონის მოსახლეობას ბავშვთა გადაუდებელი დახმარების სერვისს 24 საათის განმავლობაში აწვდის.

საერთაშორისო ურთიერთობები

ივნისი,2024

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ბათუმი ევროპის რეგიონთა ასამბლეის (AER) „გენერალურ ასამბლეას და შავი ზღვის მე-8 სამიტს“ მასპინძლობს

13 ივნისი, 2024 წელი

„აჭარა, თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით, ტრადიციებით, ყოველთვის იყო პროგრესისა და ეკონომიკური განვითარებისკენ მიდრეკილი რეგიონი. ვამაყობთ, რომ დღეს ვმასპინძლობთ ევროპის რეგიონთა გენერალურ ასამბლეას და შავი ზღვის მე-8 სამიტს, რომელზეც ევროპელ კოლეგებს უკეთ გავაცნობთ ჩვენი რეგიონის მრავალმხრივ პოტენციალს“, - აღნიშნა ევროპის რეგიონთა ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტმა, აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - დავით ბაციკაძემ, ბათუმში, ევროპის რეგიონთა ასამბლეის (AER) „გენერალური ასამბლეისა და შავი ზღვის მე-8 სამიტის“ გახსნისას. უმაღლესი საბჭოს წევრი პირველი ქართველია, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე 2023 წლის 30 ივნისს აირჩიეს.

სამიტს, რომელიც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ - თორნიკე რიჟვაძემ, ევროპის რეგიონთა ასამბლეის პრეზიდენტმა - ალბერტ კასტელანოს მადუელემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა გახსნეს, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წევრები, ასამბლეის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ყურადღება გამახვილდა ევროპის რეგიონთა ასამბლეასთან (AER) მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე, წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია აჭარის შესახებ. სამიტის ფარგლებში, გაიმართა AER-ის ბიუროს შეხვედრა, გენერალური ასამბლეა და მაღალი დონის პოლიტიკური კონფერენცია რეგიონულ საკითხებზე. პანელურ დისკუსიებსა და პრეზენტაციებზე, საერთაშორისო და ადგილობრივი სპიკერები განიხილავენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ევროკავშირის გაფართოება და შავი ზღვის რეგიონი, ინოვაციები და სტარტაპები, ევროკავშირთან თანამშრომლობა სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სფეროებში.

გენერალურ ასამბლეასა და სამიტში, რომელიც 14 ივნისს დასრულდება, ევროპის რეგიონთა ასამბლეის პრეზიდენტთან და ვიცე-პრეზიდენტებთან ერთად, ასამბლეის წევრი ქვეყნების რეგიონების ხელმძღვანელები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნესწრეების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

სამიტამდე ერთი დღით ადრე, AER-ის პრეზიდენტს - ალბერტ კასტელანოს მადუელეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ - თორნიკე რიჟვაძემ უმასპინძლა. შეხვედრას ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი - დავით ბაციკაძე ესწრებოდა.

თვის სხვა აქტივობები:

- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - 1 ივნისი, 2024
- მეზღვაურთა საერთაშორისო დღე - 25 ივნისი, 2024
- პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ხსოვნის საღამო ხულოში - 25ივნისი, 2024

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge